

„განხილულია“

ა(ა)იპ ეკონომიკური კვლევების ეროვნული
ინსტიტუტის გამგეობის სხდომაზე
სხდომის ოქმი №-2, 2016 წლის 02 მაისი

„დამტკიცებულია“

ა(ა)იპ ეკონომიკური კვლევების ეროვნული
ინსტიტუტის დირექტორის 2016 წლის 06 მაისის № 02 ბრძანებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა(ა)იპ ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის
საპატიო დოქტორი“ –სა და პროფესორის წოდების მინიჭების წესის შესახებ
(Doctor honoris causa, Honorary Professor)

ეკონომიკური ტრადიციების აღორძინების მიზნით საპატიო წოდება ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის საპატიო დოქტორი“ (Doctor honoris causa), საპატიო პროფესორი (Honorary Professor) ენიჭება საზოგადო, სახელმწიფო და რელიგიურ მოღვაწეებს, პოლიტიკოსებს, საქართველოს და საზღვარგარეთის სახელმწიფოების მეცნიერებს იმ მნიშვნელოვანი წვლილისათვის, რომელიც შეიტანეს ეკონომიკური, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, საუნივერსიტეტო განათლებისა და კულტურის სფეროში; მნიშვნელოვანი წვლილისათვის დემოკრატიის განვითარებასა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების რეალიზაციაში; ასევე მნიშვნელოვანი ნაყოფიერი წვლილისათვის კულტურის განვითარებისა და კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვისათვის აქტიური (პროდუქტიული) ხელშეწყობისათვის.

აღნიშნული წოდება შეიძლება მიენიჭოს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, საქართველოსა და საზღვარგარეთის წამყვანი კომპანიების, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებისა და საფინანსო-ეკონომიკური სტრუქტურების ხელმძღვანელებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სამეცნიერო და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისა და იმ პრობლემების გადაწყვეტის საქმეში, რომლების წინაშეც დგას საქართველოს ეკონომიკა.

საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება მიმართულია მეცნიერულ-კვლევითი, სასწავლო-მეთოდური, საწარმოო საზოგადოებრივი კავშირების განვითარებისათვის, ქართველი და საზღვარგარეთელი მეცნიერებისა და მკვლევარების კავშირების (კონტაქტების) გაძლიერებისაკენ, ასევე საერთაშორისო პრესტიჟის გაძლიერებისა და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის ინტეგრაციისათვის მსოფლიოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში.

პირს, რომელსაც მიენიჭება „ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის საპატიო დოქტორი“ –ს (Doctor honoris causa), საპატიო პროფესორი (Honorary Professor) წოდება, საზეიმო ვითარებაში გადაეცემა შესაბამისი დიპლომი, რომელიც იბეჭდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხელი მოეწერება ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის მიერ და დადასტურებული იქნება ინსტიტუტის ბეჭდით.

„ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის საპატიო დოქტორი“ –ს (Doctor honoris causa), საპატიო პროფესორი (Honorary Professor) სრული სახელი, მისი ტიტულები, წოდებები და სხვა რეგალიები, ქვეყანა და საპატიო წოდების მინიჭების თარიღი, ასევე მოკლე ცნობები დამსახურებების შესახებ შეიტანება „ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის საპატიო დოქტორების წიგნში“, ასევე განთავსდება ინსტიტუტის ოფიციალურ საიტზე.

საპატიო დოქტორს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, პრიორიტეტული წესით დაბეჭდოს თავისი პუბლიკაციები ინსტიტუტის გამოცემებში, სხვადასხვა პუბლიკაციებში, ინტერვიუებსა თუ მოხსენებებში მიუთითოს საპატიო წოდების ქონის ფაქტი.